

ტრადიციები და ინოვაციები ადრებრინჯაოდან შუაბრინჯაოზე
გარდამავალ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში

ნათია ჯალაღანია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ცქვიტინიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ადრებრინჯაოს ხანიდან შუაბრინჯაოზე გარდამავალ პერიოდში, კავკასიაში საინტერესო ძვრები მიმდინარეობს. ჩნდება იმ პერიოდისათვის უცხო - ყორღანული კულტურა, რომელიც ამ ტერიტორიაზე გავრცელებულ მტკვარ-არაქსის კულტურას სრულიად აქრობს და მკვიდრდება საკმაოდ დიდი დროით. ყორღანული კულტურის გავრცელებისას არტეფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგრძნობა ცხოვრების წესის შეცვლა. სამხრეთ კავკასიაში ეს ახალი კულტურა კარგად იკიდებს ფეხს, ყორღანულ სამარხებს რაც შეეხება, სავარაუდოა, რომ იგი ჩრდილოეთიდან მოდის, თუმცა დაკრძალვის წესი ძველადმოსავლური რიტუალებით ხდება. კავკასია, როგორც ვიცით სავაჭრო გზების კვეთა იყო დააქ ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციების შერწყმა. ამ პერიოდში ვითარდება მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და იწყება მთისა და მთის წინა რეგიონების ათვისება. შესაძლოა სწორედ ამან გამოიწვია მტკვარ-არაქსის დროინდელი საცხოვრებელი ადგილების მიტოვება. საინტერესო ფაქტორია, რომ ყორღანული კულტურა ძირითადად მხოლოდ სამარხეული ინვენტარის მიხედვით არის გამოკვლეული და აქ ნამოსახლარები თითქმის არ გვხდება. ასევე ვარაუდობენ კლიმატის ცვალებადობასაც, ესეც კიდევ ერთი მიზეზი იმდროინდელი ხალხის ადგილსამყოფელის შეცვლისათვის. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება თუ სად ცხოვრობდა ამ პერიოდის საზოგადოება, ასევე რა იყო მიზეზი მტკვარ-არაქსის კულტურის ასე უეცრად გაქრობისა. რა თქმა უნდა ყორღანული კულტურის შეცვლა გავლენას ახდენს ყველაფერზე, თუმცა მანამდე გავრცელებული ტრადიციები სრულიად არ ქრება და იგრძნობა მათი ნელ-ნელა განვითარება ამა თუ იმკუთხით. ეს კარგად ჩანს ყორღანებში აღმოჩენილ ჭურჭელზე. ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს გარდამავალ ეტაპზე - ადრეყორღანულ კულტურაში ჭურჭლის ფორმებში წინამორბედი კულტურის გავლენა იგრძნობა, კარგად ჩანს მისი გენეტიკური კავშირები, იგივე ხდება ორნამენტშიც. რა თქმა უნდა ჭურჭლის ახალი ფორმებიც ჩნდება. ყორღანულ კულტურასთან ერთად

კავკასიაში შემოდის სიახლეებიც, რომელიც ყველაზე ნათლად აისახა დაკრძალვის წესში და რიტუალებში. დღესდღეობით ეს გარდამავალი პერიოდი ნაწილობრივ გამოკვლეულია, თუმცა კითხვები ისევ ბევრია.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ყორღანი, მარტყოფი, ბედენი, თრიალეთი

Abstract

Early period of Bronze Age to Middle Age, significant changes were occurred in Caucasus. Kurgan culture was spread and replaced Kura-Araxes culture. According to artifacts, Kurgan culture mainly changed the lifestyle. Supposed that, Kurgan graves type come from the North. As we know, Caucasus is the crossroad and meeting place of different civilizations. During this period, developed agricultural and cattle-breeding activities, people settled in the region of mountain and foothills. Due to this fact, considered that, Kura-Araxes people left their dwellings, but mostly discovered artefacts are graves, not dwellings. On the other hand, presumably people changed their living places for the climate condition. The main point and question is – what was the reason for disappearance of Kura-Araxes culture and where the people lived at that period. Kurgan culture highly influenced many part of the life style, although the old traditions did not disappear completely, it developed in different directions. E.g. it expressed in ornaments and dishes of Early and Middle Bronze Ages of Kurgan culture. Novelty in Caucasus mostly exposed in funeral ceremonies and rituals. Nowadays, this transitional period partially investigated, but a lot of question still exists.

Key words: Kurgan, Martqopi, Bedeni, Trialeti.